



საქართველოს
ენერგეტიკული ბირჟა

ელექტროენერჯის ბირჟის
პირველი წელი

2024

2024 წლის 1 ივლისიდან ბირჟის გახსნით გადაიდგა მომდევნო ნაბიჯი ელექტროენერგეტიკული სექტორის რეფორმის გზაზე. ელექტროენერჯის ბაზრის გარდამავალი მოდელი პრაქტიკაში შემოიტანა ბაზრის ახალი სეგმენტი, სადაც საბაზრო ფასის განსაზღვრა ხდება საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დადენილი წესებით. ბაზრის გარდამავალი მოდელის ამოქმედება იყოს იყო პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ელექტროენერჯის ახალი ბაზრის მოდელისკენ.

სატესტო რეჟიმიდან რეალობაში მოხდა სენბის სამუშაო პროცესის გადატანა. ვაჭრობის ექვსი თვის განმავლობაში არ მომხდარა არცერთი შეფერება სავაჭრო პროცესში. მონაწილეებს ჰქონდათ შესაძლებლობა, დღით ადრე და დღიური ბაზრის წესების შესაბამისად მიეღოთ ვაჭრობაში მონაწილეობა.

ბაზრის გარდამავალი მოდელი

2024 წლის პირველი ივლისიდან ამოქმედდა ელექტროენერჯის ბაზრის გარდამავალი მოდელი. გარდამავალი ბაზრის მოდელი გულისხმობს ბაზრის არსებულ მოდელში ელექტროენერჯის ბირჟის ამოქმედებას.

მიუხედავად იმისა, რომ გარდამავალ მოდელში დაბალანსების პერიოდად დარჩა თვე, ელექტროენერჯის ბირჟაზე ივაჭრება საათობრივი პროდუქტები, ფიზიკური მიწოდების საათისათვის.

ბაზრის გარდამავალ მოდელში ბირჟაზე ვაჭრობის უფლება აქვთ მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის მონაწილეებს, მათ შორის:

- ბირჟაზე ელექტროენერჯის შესყიდვა შეუძლიათ:
 - პირდაპირ მომხმარებლებს - საკუთრი მოხმარების უზრუნველყოფის მიზნით;
 - სისტემის ოპერატორებს - ქსელში დანაკარგების შესყიდვის მიზნით;
 - უნივერსალური და საჯარო მომსახურების, ასევე ბოლო ალტერნატივის მიმწოდებლებს - მისაწოდებელი ელექტროენერჯის შესყიდვის მიზნით.
- ბირჟაზე ელექტროენერჯის გაყიდვა შეუძლიათ:
 - „ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების“ მქონე მწარმოებლებს, ამ ხელშეკრულებით მიწოდების ვალდებულებისგან თავისუფალ პერიოდში და მოცულობით წარმოებული ელექტროენერჯის ფარგლებში;
 - საწარმოს, რომელიც შესაბამის ელექტროსადგურთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წესის შესაბამისად, სარგებლობს მხარდაჭერის სქემით – მხარდაჭერის პერიოდისგან თავისუფალ პერიოდში;
 - სხვა ელექტროენერჯის მწარმოებლებს, საჯარო მომსახურების ფარგლებს მიღმა წარმოებული ელექტროენერჯის ფარგლებში.

ბირჟის მონაწილეები

ელექტროენერჯის დღით ადრე ბაზარზე პირველი აუქციონი ჩატარდა 2024 წლის 1 ივლისს. პირველ აუქციონში მონაწილეობისათვის ბირჟაზე რეგისტრირებული იყო ოთხი მონაწილე. 2024 წლის ბოლოს მდგომარეობით, ბირჟაზე რეგისტრირებულია 21 მონაწილე. რეგისტრირებული მონაწილეების სია გამოქვეყნებულია სს “საქართველოს ენერჯეტიკული ბირჟის” (სენბი) ვებგვერდზე.



ნახაზი 1. 2024 წლის ბოლოს მდგომარეობით ბირჟაზე რეგისტრირებული მონაწილეები


ბირჟაზე ელექტროენერჯის ვაჭრობა

პირველი აუქციონის შემდეგ, 2024 წლის მეორე ნახევარში, ვაჭრობა შედგა 20 მიწოდების დღისთვის. პირველი ტრანზაქცია შედგა 24 ივლისს. ბირჟაზე ვაჭრობის შედეგების შესახებ საჯარო ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ სენბის ვებგვერდზე.


2024 წელს ბირჟაზე ჯამურად ნავაჭრი რაოდენობა შეადგენს 17,490 მგვტ.სთ. ხოლო, საშუალო შეწონილი ფასი - 134.55 ლარი/მგვტ.სთ-ს (13.455 თეთრი/კვტ.სთ). ყველაზე მეტი ელექტროენერჯის ვაჭრობა მოხდა ივლისში - 11,624.6 მგვტ.სთ

საბალანსო ელექტროენერჯის თვის ფასი ყოველთვის იყო უფრო მაღალი ვიდრე ბირჟაზე ამ თვის განმავლობაში დაფიქსირებული უმაღლესი ფასი. შესაბამისად, ელექტროენერჯის მყიდველებმა, ჯამურად 17,490 მგვტ.სთ ელექტროენერჯის შესყიდვით დაზოგეს დაახლოებით 440,000 ლარი.


ივლისი 2024




აგვისტო 2024



სექტემბერი 2024




ნოემბერი 2024



ნახაზი 2. ბირჟაზე ვაჭრობის დინამიკა

ელექტროენერჯის ბაზრის მოწყობის არსებული მოდელი ითვალისწინებს სს “ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის” მიერ იმპორტირებული და გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების შესაბამისად წარმოებული ელექტროენერჯის გაყიდვას როგორც საბალანსო ელექტროენერჯად. შესაბამისად, აღნიშნული ელექტროენერჯია, რომელმა 2024 წლის განმავლობაში მთლიანი მოთხოვნის დაახლოებით 16% შეადგინა, არ არის ხელმისაწვდომი სხვა სეგმენტებზე, ორმხრივი ხელშეკრულებით და ბირჟაზე, გასაყიდად. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ბაზარი თვის/წლის ჭრილში არის მუდმივად დეფიციტური - მოთხოვნა ყოველთვის აჭარბებს მიწოდებას. შესაბამისად, ელექტროენერჯის გამყიდველისთვის უფრო მარტივია მყიდველის პოვნა, ხოლო ელექტროენერჯის მყიდველებისთვის არ არის საჭირო რაოდენობა ხელმისაწვდომი. აღნიშნული მდგომარეობა, დამატებით სხვა ფაქტორებთან ერთად, ასახვას ჰპოვებს ბირჟაზე არსებულ მოთხოვნასა და მიწოდებაზე.

2024 წლის ივლისი-დეკემბრის განმავლობაში ბირჟაზე მოთხოვნა მკვეთრად მეტი იყო მიწოდებაზე. ამ პერიოდში ბირჟაზე დაფიქსირდა ჯამურად 1,545,806.24 მგვტ.სთ- ელექტროენერჯის შესყიდვის სურვილი (მოთხოვნა), ხოლო გამყიდველებმა შესთავაზეს 67,723.2 მგვტ.სთ-ს (მიწოდება). მოთხოვნა-მიწოდების რაოდენობები მოცემულია ნახაზზე 3.



ნახაზი 3. მოთხოვნა და მიწოდება ბირჟაზე

გაყიდვის განაცხადის მინიმალური ფასი დაფიქსირდა 126 ლარი/მგვტ.სთ, ხოლო ყიდვის განაცხადის მაქსიმალური ფასი იყო 150 ლარი/მგვტ.სთ. დეტალური ინფორმაცია მოცემულია ცხრილში №1. როგორც ნახაზზე ჩანს, მონაწილეების მიერ ელექტროენერჯის გადახდაზე მზადყოფნა, 1-19%-ით ჩამოუვარდებოდა საბალანსო ელექტროენერჯის ფასს. შესაბამისად, მყიდველებმა შეძლეს ალტერნატივასთან შედარებით იაფად ელექტროენერჯის შესყიდვა. მიუხედავად იმისა, რომ საბალანსო ელექტროენერჯის ფასი არ არის ცნობილი ბირჟაზე ვაჭრობის მომენტში, მისი განჭვრეტა მონაწილეებს საშუალებას აძლევს მოახდინონ შესაძლებლობის რეალიზება. როგორც ნახაზი 3-დან ჩანს, სულ მცირე შეთავაზებული და გაუყიდავი ელექტროენერჯის ვაჭრობა იყო შესაძლებელი მყიდველების მხრიდან უფრო მაღალი განაცხადის ფასის დაფიქსირებით - ამ შემთხვევაშიც, შესყიდვა მოხდებოდა ალტერნატივაზე უფრო იაფად. ელექტროენერჯის მყიდველების მხრიდან უფრო მაღალი რისკის მიმდებლობა სარგებლის მოლოდინით შექმნიდა ბირჟაზე ელექტროენერჯის შეთავაზების მოტივაციას გამყიდველებისათვის. თუმცა, მხოლოდ აღნიშნული არ შეიძლება განვიხილოთ ბირჟაზე დაბალი ლიკვიდურობის მიზეზად.

ცხრილი 1

	მოთხოვნის მაქსიმალური ფასი (ლარი/მგვტ.სთ)	მიწოდების მინიმალური ფასი (ლარი/მგვტ.სთ)	საბალანსო ელექტროენერჯის ფასი (ლარი/მგვტ.სთ)
ივლისი	126	126	156.16
აგვისტო	134	133	154.74
სექტემბერი	149	143	149.98
ოქტომბერი	145		144.34
ნოემბერი	146	138	154.97
დეკემბერი	150		164.05

ყველაზე დიდი აგრეგირებული მოთხოვნა დაფიქსირდა 15 აგვისტოს (აგრეგირებულმა მოთხოვნამ 3,041.1 მგვტ.სთ შეადგინა) , რაც მიმდინარე მიწოდების დღის მთლიანი მოთხოვნის 7.17%-ს შეადგენდა.

2024 წლის ივლისი-დეკემბრის განმავლობაში ელექტროენერჯის მყიდველების ფასის მიმდებლობა არ შეცვლილა. მყიდველისა და გამყიდველის ფასის თანხვედრა მოხდა მხოლოდ 20 მიწოდების დღისთვის.

ელექტროენერჯის ბაზარი არის დეფიციტური. მაგ PPA სადგურების ნაწარმოები ელექტროენერჯია და იმპორტული ელექტროენერჯია იყიდება ორმხრივი ხელშეკრულებებით. ბირჟაზე მომხმარებელს არ ხვდება საკმარისი ელექტროენერჯია, რადგან ის უკვე გაყიდულია ბირჟის გარეთ.

განაცხადის ფასების სტატიკურობის ერთ-ერთ შესაძლო მიზეზად, ასევე, შეიძლება განვიხილოთ საბალანსო ელექტროენერჯის ფასის მიმართ უცვლელი მოლოდინი.

ბაზრის მონაცემები

ვაჭრობის შედეგები, „დღით ადრე და დღიური ბაზრების წესების“ შესაბამისად ყოველდღიურ რეჟიმში ქვეყნდება სენზის ვებგვერდზე. დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომია ის საჯარო ინფორმაცია, რისი გამოქვეყნების ვალდებულებაც აქვს ბირჟის ოპერატორის.

გარდა ვალდებულებების ფარგლებში ინფორმაციის გამოქვეყნებისა, სენზი და ინტერსებულ პირებს ვებგვერდზე აძლევს სხვადასხვა ანალიტიკური ინფორმაციის დამუშავების მარტივ მეთოდების გამოყენების საშუალებას.

- დღით ადრე ბაზარი
- ბაზრის შედეგები
- ფასის ცვლილებები
- მონაცემები
- დღიური ბაზარი
- ბაზრის შედეგები
- სიმპლავრის ხელშეწყობა

